პერსონალურ მონაცემთა
დაცვის სამსახური

მსოფლიო პრაქტიკა

ნოემბერი / 2023

მთავარი სიახლეები

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ (“CJEU”) პაციენტს სამედიცინო ჩანაწერების პირველი ასლების უფასოდ მიღების უფლებაზე იმსჯელა

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ (“CJEU”) მონაცემთა სუბიექტის უფლებების განხორციელებასთან დაკავშირებით მიიღო გადაწყვეტილება

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულმა სასამართლომ (“ECtHR”) ერთ-ერთ საქმეზე „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-8 მუხლის დარღვევა დაადგინა

ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზედამხედველსა (“EDPS”) და ბრიტანეთის ინფორმაციის კომისრის ოფისისს (“ICO”) შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ (“CJEU”) პაციენტს სამედიცინო ჩანაწერების პირველი ასლების უფასოდ მიღების უფლებაზე იმსჯელა

26.10.2023

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ (“CJEU”), საქმეზე - *FT v DW (C-307/22),* 2023 წლის 26 ოქტომბერს გადაწყვეტილება გამოაქვეყნა.[1] საქმის გარემოებების მიხედვით, პაციენტმა თავის სტომატოლოგს სამედიცინო ჩანაწერების ასლების გაზიარება მოსთხოვა, რათა სტომატოლოგიური მომსახურებისას სავარაუდოდ დაშვებული შეცდომების გამო მისი პასუხისმგებლობის საკითხი დაეყენებინა. სტომატოლოგი პაციენტისთვის სამედიცინო ჩანაწერების ასლის მიწოდების სანაცვლოდ ხარჯების ანაზღაურებას ითხოვდა, გერმანიის კანონმდებლობის შესაბამისად.

პაციენტმა გერმანიის სასამართლოს მიმართა. გერმანიის მართლმსაჯულების ფედერალურმა სასამართლომ “CJEU”-ს წინასწარი გადაწყვეტილების მისაღებად კითხვით მიმართა. გერმანიის სასამართლო მიიჩნევდა, რომ დავის შედეგი დამოკიდებული იყო ევროკავშირის სამართლის დებულებების, კერძოდ, „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ (“GDPR”) განმარტებაზე. მიმართვის საფუძველზე “CJEU”-მ სამი საკითხი შეაფასა.

ფოტო: en.wikipedia.org

პირველი საკითხი:

“GDPR”-ის მე-12 მუხლის[2] მე-5 პუნქტი და მე-15 მუხლის[3] პირველი და მე-3 პუნქტები შესაძლებელია თუ არა განიმარტოს იმგვარად, რომ გამომდინარეობდეს მონაცემთა დამმუშავებლის ვალდებულება, უსასყიდლოდ გადასცეს მონაცემთა სუბიექტს დამუშავების პროცესში არსებული პერსონალური მონაცემების პირველი ასლები, მაშინაც კი, როდესაც მისი მოთხოვნის მიზეზი არ უკავშირდება ამავე რეგულაციის პრეამბულის 63-ე პუნქტის პირველ წინადადებაში[4] მითითებულ საკითხებს?

აღსანიშნავია, რომ “GDPR”-ის მე-12 მუხლის მე-5 პუნქტი ადგენს პრინციპს, რომლის მიხედვით, მონაცემთა სუბიექტის მიერ დამუშავების პროცესში არსებულ პერსონალურ მონაცემებზე და მასთან

[1] იხ. ელექტრონული ბმული: <https://www.dataguidance.com/news/eu-patient-has-right-obtain-first-copy-medical-records>.

[2] გამჭვირვალე ინფორმაცია, კომუნიკაცია და მონაცემთა სუბიექტის უფლებების განხორციელების თავისებურებები.

[3] მონაცემთა სუბიექტის მიერ მონაცემებზე წვდომის უფლება.

[4] მონაცემთა სუბიექტს უნდა ქონდეს მასთან დაკავშირებულ პერსონალურ მონაცემებზე წვდომის უფლება.

დაკავშირებულ ინფორმაციაზე წვდომის უფლებით სარგებლობა, რაიმე ხარჯს არ უკავშირდება.

გარდა ამისა, ზემოხსენებული დებულება ითვალისწინებს ორ საკითხს, რის საფუძველზეც მონაცემთა დამმუშავებელს შეუძლია ადმინისტრაციული ხარჯების გათვალისწინებით გონივრული საფასურის დაკისრება ან მოთხოვნის შესრულებაზე უარის გაცხადება. მითითებული საფუძვლები შეეხება უფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევებს, როდესაც მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნა არის „აშკარად უსაფუძვლო“ ან „გადაჭარბებული“, განსაკუთრებით კი მათი განმეორებითი ხასიათის გამო. განსახილველ საქმესთან დაკავშირებით, გერმანიის მართლმსაჯულების ფედერალურმა სასამართლომ პირდაპირ განაცხადა, რომ მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნა არ წარმოადგენდა უფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევას.

“GDPR”-ის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს ჰქონდეს წვდომა მის დამუშავებულ პერსონალურ მონაცემებზე. გარდა ამისა, “GDPR”-ის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტიდან გამომდინარეობს, რომ მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია, მონაცემთა სუბიექტს მიაწოდოს დამუშავების პროცესში არსებული პერსონალური მონაცემების ასლი და დააკისროს მას გონივრული გადასახადი, შემდგომი ასლების მოთხოვნის შემთხვევაში. შესაბამისად, მონაცემთა დამმუშავებელს ასეთი საფასურის დაკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, თუ მონაცემთა სუბიექტმა მონაცემების პირველი ასლი უფასოდ უკვე მიიღო და კიდევ ერთხელ ითხოვს მათ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, “GDPR”-ის მე-12 მუხლის მე-5 პუნქტიდან და მე-15 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტებიდან ერთობლივად გამომდინარეობს, რომ: (i) მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს დამუშავების პროცესში არსებული პერსონალური მონაცემების პირველი ასლი უფასოდ მიიღოს და (ii) მონაცემთა დამმუშავებელს უფლება აქვს, გარკვეული პირობების არსებობის შემთხვევაში, ადმინისტრაციული ხარჯების გათვალისწინებით, განსაზღვროს გონივრული საფასური ან აშკარად უსაფუძვლო ან გადაჭარბებულ მოთხოვნაზე განაცხადოს უარი.

ფოტო: freepik.com

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ “GDPR”-ის მე-12 მუხლი მოცემულია III თავის პირველ ნაწილში, რომელიც, სხვა საკითხებთან ერთად, შეეხება მე-5 მუხლის პირველი პუნქტის “a” ქვეპუნქტით დადგენილ გამჭვირვალობის პრინციპს. შესაბამისად, “GDPR”-ის მე-12 მუხლი ადგენს მონაცემთა დამმუშავებლის ინფორმაციისა და კომუნიკაციების

გამჭვირვალობის ზოგად ვალდებულებებს ისევე, როგორც მონაცემთა სუბიექტის მიერ უფლებებით სარგებლობის წესებს.

“GDPR”-ის მე-15 მუხლი, რომელიც III თავის მე-2 ნაწილშია მოცემული, ამ რეგულაციის გამჭვირვალობის ფარგლებს ავსებს, მონაცემთა სუბიექტისთვის პერსონალურ მონაცემებზე წვდომის უფლებისა და მონაცემების დამუშავების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლების მინიჭებით. საგულისხმოა, რომ მონაცემთა სუბიექტს მონაცემებზე წვდომის მოთხოვნის მიზეზების დასახელება არ მოეთხოვება.

“GDPR”-ის 63-ე პუნქტის მეორე წინადადებაში აღნიშნულია, რომ მონაცემთა სუბიექტების მიერ საკუთარ პერსონალურ მონაცემებზე წვდომის უფლება მოიცავს მათ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, კერძოდ, სამედიცინო ჩანაწერებში არსებულ მონაცემებს, როგორიცაა: დიაგნოზი, გამოკვლევების შედეგები, მკურნალი ექიმების შეფასებები და მათთვის მიწოდებული ნებისმიერი სახის მკურნალობის ან რაიმე სახის ჩარევის თაობაზე ინფორმაცია.

“GDPR”-ის მე-15 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მონაცემებზე წვდომის უფლება არ შეიძლება შეიზღუდოს არც წვდომის მინიჭებაზე უარის თქმით და არც ანაზღაურების მოთხოვნით, “GDPR”-ის პრეამბულის 63-ე პუნქტის პირველ წინადადებაში მითითებული ერთ-ერთი საფუძვლით.

დამუშავების პროცესში არსებულ პერსონალურ მონაცემებზე წვდომის უფლებისთვის “GDPR”-ის მიერ მინიჭებული მნიშვნელობის გათვალისწინებით, ამ უფლების განხორციელება არ შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ პირობებს, რომლებიც ევროკავშირის საკანონმდებლო ორგანოს მიერ ცალსახად დადგენილი არ არის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, “CJEU”-მ პირველ საკითხთან დაკავშირებით “GDPR”-ის მე-12 მუხლის მე-5 პუნქტი და მე-15 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტები შემდეგნაირად განმარტა: მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია, მონაცემთა სუბიექტს უფასოდ მიაწოდოს დამუშავების პროცესში არსებული მისი პერსონალური მონაცემების პირველი ასლი მაშინაც კი, როდესაც აღნიშნული მოთხოვნის მიზეზი არ უკავშირდება “GDPR”-ის პრეამბულის 63-ე პუნქტის პირველ წინადადებაში მითითებულ საფუძვლებს.[5]

[5] CJEU, Case C-307/22, *FT v DW* [2023], §§ 29-52, იხ. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს ვებგვერდი: <https://curia.europa.eu/juris/document/document.jsf;jsessionid=EEF3F45D476085A9ADBA8A86C66FF78D?text=&docid=279125&pageIndex=0&doclang=en&mode=req&dir=&occ=first&part=1&cid=100225>.

ფოტო: freepik.com

მეორე საკითხი:

"GDPR"-ის 23-ე მუხლის[6] პირველი პუნქტის (i) ქვეპუნქტი უნდა განიმარტოს თუ არა იმგვარად, რომ აღნიშნული რეგულაციის ძალაში შესვლამდე მიღებული ეროვნული კანონმდებლობა, მონაცემთა დამმუშავებლის ეკონომიკური ინტერესების დაცვის მიზნით, მონაცემთა სუბიექტს დამუშავების პროცესში არსებული მისი პერსონალური მონაცემების პირველი ასლის გადაღების ხარჯებს აკისრებს?

აღნიშნულ საკითხზე "CJEU"-მ განაცხადა, რომ GDPR-ის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის "i" ქვეპუნქტის განმარტების მიხედვით, რეგულაციის ძალაში შესვლამდე მიღებული ეროვნული კანონმდებლობა შესაძლებელია ხსენებული დებულების ფარგლებში მოექცეს. თუმცა, აღნიშნული არ იძლევა იმგვარი ეროვნული კანონმდებლობის მიღების შესაძლებლობას, რომელიც, მონაცემთა დამმუშავებლის ეკონომიკური ინტერესების დაცვის მიზნით, მონაცემთა სუბიექტს მისი პერსონალური მონაცემების პირველი ასლის ხარჯების ანაზღაურებას აიძულებს.[7]

მესამე საკითხი:

"GDPR"-ის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის პირველი წინადადება უნდა განიმარტოს თუ არა იმგვარად, რომ ექიმისა და პაციენტის ურთიერთობის კონტექსტში, დამუშავების პროცესში არსებული პერსონალური მონაცემების ასლის მიღების უფლება ნიშნავს, რომ მონაცემთა სუბიექტს უნდა მიეწოდოს მისი სამედიცინო ჩანაწერებისა და მისი პერსონალური მონაცემების შემცველი სრული დოკუმენტაციის ასლები თუ მხოლოდ პერსონალური მონაცემების ასლები?

"CJEU"-მ დაადგინა, რომ "GDPR"-ის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის პირველი წინადადება მონაცემთა სუბიექტს მისი პერსონალური მონაცემების ასლის გადაღების უფლებას ანიჭებს. ფართო გაგებით, ეს უფლება შეეხება ოპერაციებს, რომლებიც შეიძლება მონაცემთა დამმუშავებლის მიერ „დამუშავებად" შეფასდეს.

"GDPR"-ის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის პირველი წინადადება არ შეიძლება განიმარტოს ისე, რომ იგი მე-15 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულისაგან განსხვავებულ უფლებას აწესებდეს. გარდა ამისა, ტერმინი „ასლი" ეხება არა დოკუმენტს, არამედ პერსონალურ მონაცემებს, რომლებსაც იგი შეიცავს და რომელიც უნდა იყოს სრული.

[6] უფლებების შეზღუდვა.

[7] *იქვე*, §§ 53, 69.

სწორედ ამიტომ, ასლი უნდა შეიცავდეს დამუშავების პროცესში არსებულ ყველა პერსონალურ მონაცემს.

რაც შეეხება “GDPR”-ის მე-15 მუხლის ამოცანებს — წვდომის უფლება მონაცემთა სუბიექტს მასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების სისწორისა და მათი კანონიერი დამუშავების შემოწმების შესაძლებლობას უნდა ანიჭებდეს. გარდა ამისა, დამუშავების პროცესში არსებული პერსონალური მონაცემების ასლს, რომელიც მონაცემთა დამმუშავებელმა მონაცემთა სუბიექტს “GDPR”-ის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის პირველი წინადადების შესაბამისად უნდა მიაწოდოს, უნდა ჰქონდეს ყველა მახასიათებელი, რომელიც აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის მიერ საკუთარი უფლებების ეფექტიანად განხორციელე-ბისთვის. შესაბამისად, მონაცემთა სუბიექტს პერსონალური მონაცემების ასლების მიღება სრულად უნდა შეეძლოს. იმისთვის, რომ მონაცემთა დამმუშავებლის მიერ მიწოდებული ინფორმაცია მონაცემთა სუბიექტისთვის ადვილად იყოს გასაგები,[8] დოკუმენტების ამონარიდების ან თუნდაც მთლიანი დოკუმენტის (რომელიც შეიცავს დამუშავების პროცესში არსებულ პერსონალურ მონაცემებს) ასლის გადაღება, შეიძლება მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს, როდესაც აუცილებელია დამუშავებული მონაცემების კონტექსტის ცოდნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მონაცემთა დამმუშავებლისგან დამუშავების პროცესში არსებული პერსონალური მონაცემების ასლის მიღების უფლება ნიშნავს, რომ მონაცემთა სუბიექტს უნდა მიეცეს ყველა ამ მონაცემის ზუსტი და გასაგები ასლის მიღების შესაძლებლობა. ეს უფლება გულისხმობს პერსონალურ მონაცემის შემცველი დოკუმენტის ამონარიდების ან მათი სრული ვერსიების ასლების მიღებას, თუკი აღნიშნული მონაცემთა სუბიექტის მიერ “GDPR”-ით დადგენილი უფლებების ეფექტიანად განხორციელებისათვის არსებითია.

ფოტო: en.wikipedia.org

განსახილველ საქმესთან დაკავშირებით, “CJEU”-მ ჯანმრთელობის შესახებ მონაცემების შესახებ აღნიშნა, რომ “GDPR”-ის პრეამბულის 63-ე პუნქტის მიხედვით, მონაცემთა სუბიექტების წვდომის უფლება მოიცავს „მათ სამედიცინო ჩანაწერებში არსებულ მონაცემებს, როგორიცაა დიაგნოზი, გამოკვლევის შედეგები, მკურნალი ექიმების შეფასებები და ნებისმიერი სახის მკურნალობისა თუ ჩარევის შესახებ მონაცემები“. ფიზიკურ

[8] აღნიშნულ მოთხოვნას აწესებს “GDPR”-ის მე-12 მუხლის პირველი პუნქტი პრეამბულის 58-ე პუნქტთან ერთობლიობაში.

პირთა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების სენსიტიური ბუნების გამო, ევროკავშირის კანონმდებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მონაცემთა სუბიექტებს მათ სამედიცინო ჩანაწერებში არსებულ მონაცემებზე რაც შეიძლება სრული და ზუსტი წვდომა უნდა ჰქონდეთ, ამასთანავე, გასაგები ფორმით. რაც შეეხება გამოკვლევის შედეგებს, მკურნალი ექიმების შეფასებებს და მკურნალობისა თუ ინტერვენციების შესახებ ინფორმაციას, ისინი, როგორც წესი, მოიცავს დიდი ოდენობით ტექნიკურ მონაცემებს ან თუნდაც სურათებს. პრაქტიკოსი ექიმის მიერ ამ მონაცემების მარტივმა შეჯამებამ ან შეკრებამ, მათი გაერთიანებული სახით წარმოდგენის მიზნით, შეიძლება შექმნას ზოგიერთი მონაცემების გამოტოვების, არასწორად კოპირების ან, ნებისმიერ შემთხვევაში, პაციენტის მხრიდან მონაცემთა სიზუსტისა და სისრულის შემოწმებისა თუ მათი გაგების გართულების რისკი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მესამე კითხვაზე "CJEU"-ს პასუხია, რომ "GDPR"-ის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის პირველი წინადადება შემდეგნაირად უნდა განიმარტოს:

ექიმისა და პაციენტის ურთიერთობის კონტექსტში, დამუშავების პროცესში არსებული პერსონალური მონაცემების ასლის მიღების უფლება ნიშნავს, რომ მონაცემთა სუბიექტს უნდა მიეცეს ყველა მონაცემის ზუსტი და გასაგები ასლების მიღების შესაძლებლობა. ეს უფლება გულისხმობს მონაცემთა სუბიექტის სამედიცინო ჩანაწერებში შეტანილი დოკუმენტებისა და მისი პერსონალური მონაცემების შემცველი მასალების სრული ასლების მოპოვების შესაძლებლობას, თუკი ასეთი ასლის მიწოდება აუცილებელია, რათა მონაცემთა სუბიექტმა შეამოწმოს, თუ რამდენად ზუსტი, ამომწურავი და გასაგებია აღნიშნული მონაცემები. მონაცემთა სუბიექტის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემების შესახებ კი "CJEU"-მ აღნიშნა, რომ აღნიშნული უფლება, ნებისმიერ შემთხვევაში, მოიცავს მონაცემთა სუბიექტის მიერ მის სამედიცინო ჩანაწერებში არსებული მონაცემების შესახებ ინფორმაციის ასლების მოპოვების შესაძლებლობას. სამედიცინო ჩანაწერები შეიცავს ისეთ ინფორმაციას, როგორიცაა: დიაგნოზი, გამოკვლევის შედეგები, მკურნალი ექიმების შეფასებები და ნებისმიერი მკურნალობისა თუ ჩარევის შესახებ მონაცემები.[9]

[9] CJEU, Case C-307/22, *FT v DW* [2023], §§ 70-79, იხ. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს ვებგვერდი: <https://curia.europa.eu/juris/document/document.jsf;jsessionid=EEF3F45D476085A9ADBA8A86C66FF78D?text=&docid=279125&pageIndex=0&doclang=en&mode=req&dir=&occ=first&part=1&cid=100225>.

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ (“CJEU”) მონაცემთა სუბიექტის უფლებების განხორციელებასთან დაკავშირებით მიიღო გადაწყვეტილება

16.11.2023

ფოტო: curia.europa.eu

2023 წლის 16 ნოემბერს, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ (“CJEU”) მონაცემთა სუბიექტის უფლებების განხორციელების თაობაზე გადაწყვეტილება გამოიტანა.[10] საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, მოქალაქემ მიმართა ბელგიის ეროვნული უსაფრთხოების ორგანოს ერთ-ერთ ღონისძიებაში („ევროპული განვითარების დღეები“) მონაწილეობის ნებართვის მისაღებად, თუმცა მას უარი ეთქვა იმ მოტივით, რომ იგი ესწრებოდა დემონსტრაციებს. აღნიშნულის შემდეგ, პირის იურიდიულმა მრჩეველმა, საკუთარ მონაცემებზე წვდომის უფლებაზე დაყრდნობით, მოთხოვნა გაგზავნა ბელგიის პოლიციის საზედამხედველო უწყებაში (“OCIP”). უწყებამ მიუთითა, რომ მონაცემთა სუბიექტს საკუთარ პერსონალურ ინფორმაციაზე ჰქონდა მხოლოდ არაპირდაპირი წვდომა. დამატებით, “OCIP”-მ (საზედამხედველო ორგანო) გადაამოწმა მონაცემთა დამუშავების კანონიერება, რასთან დაკავშირებითაც მონაცემთა სუბიექტს ზოგადი ფორმით აცნობა, რომ განახორციელა საჭირო მოქმედებები და სხვა რაიმე სახის ზომები არ მიუღია. წარმოდგენილი მიზეზების გათვალისწინებით, მონაცემთა სუბიექტმა საჩივარი შეიტანა პირველი ინსტანციის სასამართლოში, რომელმაც განაცხადა, რომ მას არ გააჩნდა საქმის განხილვის შესაბამისი კომპეტენცია. საქმე გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში, რომელმაც თავის მხრივ მიმართა “CJEU“-ს იმის დასადგენად, ითვალისწინებს თუ არა ევროკავშირის კანონმდებლობა მონაცემთა სუბიექტებისთვის საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილებათა გასაჩივრების უფლების უზრუნველყოფას.

პირველ რიგში, “CJEU”-მ აღნიშნა, რომ საზედამხედველო ორგანოს ამოცანისა და კომპეტენციის შესახებ დებულებები თავმოყრილია „საპოლიციო დირექტივის“ 46(1)(g)-ე და 47(1)(2)-ე მუხლებში, რაც უნდა გაანალიზდეს ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტიის მე-8(3) მუხლთან ერთობლიობაში, რომელიც პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას მოითხოვს.

[10] Court of Justice of the European Union (CJEU), 16 November 2023, <https://curia.europa.eu/juris/document/document.jsf?text=&docid=279747&pageIndex=0&doclang=EN&mode=req&dir=&occ=first&part=1&cid=1277247>.

“CJEU”-ს განმარტებით, იურიდიულად სავალდებულო გადაწყვეტილებასთან მიმართებით, რომელიც მიღებულია საზედამხედველო ორგანოს მიერ, წევრმა სახელმწიფოებმა ფიზიკური თუ იურიდიული პირები უნდა უზრუნველყონ სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალებით.

! ასევე, წევრი სახელმწიფოების ვალდებულებაა, მონაცემთა დამმუშავებელმა მონაცემთა სუბიექტს წერილობით შეატყობინოს მონაცემთა გასწორების, წაშლის ან დაბლოკვის უფლების შეზღუდვის, მისი მიზეზის შესახებ („საპოლიციო დირექტივის“ მე-16 მუხლი). წევრ სახელმწიფოებს უფლება აქვთ, მიიღონ ისეთი საკანონმდებლო ზომები, რომლებიც მთლიანად ან ნაწილობრივ ზღუდავს მონაცემთა სუბიექტის წვდომის უფლებას მხოლოდ იმ შემთხვევაში და იმ პირობით, თუ მთლიანი ან ნაწილობრივი შეზღუდვა წარმოადგენს დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელ და პროპორციულ ზომას და თუკი სათანადოდაა დაცული ფიზიკური პირის ფუნდამენტური უფლებები და ლეგიტიმური ინტერესები.

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ ყურადღება გაამახვილა დირექტივის 47(1)-ე მუხლზე, რომლის თანახმად, წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობით საზედამხედველო ორგანოებს უნდა ჰქონდეთ როგორც „ეფექტიანი საგამოძიებო უფლებამოსილება“, ისე „ეფექტიანი მაკორექტირებელი უფლებამოსილება“. “CJEU”-ს განმარტების თანახმად, დამოუკიდებელმა საზედამხედველო ორგანომ უნდა უზრუნველყოს პერსონალურ მონაცემთა ეფექტიანი დაცვა.

სასამართლოს მიერ საქმეში არსებული გარემოებების შეფასების საფუძველზე, აღსანიშნავია, რომ საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილება მონაცემთა სუბიექტისთვის არის იურიდიულად სავალდებულო ბუნების მქონე, რომელთან მიმართებით ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს უნდა ჰქონდეს საზედამხედველო ორგანოს სამართლებრივად სავალდებულო გადაწყვეტილების წინააღმდეგ ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის საშუალების გამოყენების უფლება.

ფოტო: flaticon.com

“CJEU”-მ აღნიშნა, რომ მონაცემთა სუბიექტს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, დაადგინოს მასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების მიზეზები, რათა ჰქონდეს სათანადო დაცვის შესაძლებლობა. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ხსენებული უფლება არ არის აბსოლუტური ხასიათის და ქარტიის 52(1) მუხლის შესაბამისად, უფლების შეზღუდვა უნდა ეყრდნობოდეს კანონს და იყოს მიზნის პროპორციული.

დირექტივის მე-15(4) მუხლის შესაბამისად, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მონაცემთა

დამმუშავებელმა დოკუმენტურად აღრიცხოს ის ფაქტობრივი და სამართლებრივი მიზეზები, რომლის შესაბამისადაც იღებს იგი გადაწყვეტილებას. თავის მხრივ, აღნიშნულის თაობაზე ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზედამხედველო ორგანოებისთვის.

საქმეში წარმოდგენილ გარემოებებზე დაყრდნობით, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ დაადგინა, რომ საზედამხედველო ორგანომ მიიღო იურიდიულად სავალდებულო ძალის მქონე გადაწყვეტილება, რაც უნდა ექვემდებარებოდეს სასამართლო განხილვას.

ასევე, საზედამხედველო ორგანომ მონაცემთა სუბიექტს სულ მცირე უნდა აცნობოს საკითხის სათანადო მოკვლევისა და სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლების არსებობის შესახებ. სასამართლო განხილვასთან მიმართებით, ეროვნული წესებით სასამართლოს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს, გამოიკვლიოს საფუძვლები და მტკიცებულებები, რომლებზე დაყრდნობითაც მიიღო საზედამხედველო ორგანომ გადაწყვეტილება.[11]

[11] Court of Justice of the European Union (CJEU), 16 November 2023, Press Release No 174/23 Luxembourg, 16 November 2023, <https://curia.europa.eu/jcms/upload/docs/application/pdf/2023-11/cp230174en.pdf>.

ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზედამხედველსა (“EDPS”) და ბრიტანეთის ინფორმაციის კომისრის ოფისისს (“ICO”) შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

09.11.2023

ფოტო: edps.europa.eu

2023 წლის 9 ნოემბერს ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემო-რანდუმს[12] „ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზედამხედველსა“ და „დიდი ბრიტანეთის ინფორმაციის კომისრის ოფისს“ შორის. მემორანდუმის მიზანია ხელმომწერი მხარეების საერთო მიზნების გაძლიერება, პირების მონაცემებისა და კონფიდენციალურობის უფლებების დაცვა და ურთიერთთანამშრომლობა.

მემორანდუმში აღწერილია ერთგვარი სამოქმედო გეგმა, თუ როგორ გააგრძელებენ ურთიერთობას მხარეები. მათ ორმხრივ ინტერესს წარმოადგენს გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება, სხვადასხვა ინიციატივის შეჯერება, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტანდარტების გამყარება, რაც

[12] <https://ico.org.uk/media/about-the-ico/mou/4027322/mou-edps-ico.pdf>.

დეტალურადაა ასახული მემორანდუმის ტექსტში.

ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზედამხედველის, *ვოიჩეკ ვიევიორსკის* განცხადებით: „მემორანდუმი მიზნად ისახავს კიდევ უფრო გააძლიეროს EDPS-ისა და ICO-ს ერთობლივი ვალდებულება, უზრუნველყოს თანმიმდევრული მიდგომა პირთა კონფიდენციალურობისა და მონაცემთა დაცვის უფლებების დაცვის საქმიანობაში. აღნიშნული დოკუმენტი დეტალურად ასახავს იმას, თუ როგორ ვგეგმავთ ჩვენი გამოცდილებითა და ცოდნით, პრიორიტეტად მივიჩნიოთ ინდივიდების ფუნდამენტური უფლებების დაცვა ევროკავშირსა და დიდ ბრიტანეთში. მემორანდუმის ხელმოწერა ადასტურებს EDPS-ის მუდმივ მზაობას, ხელი შეუწყოს საერთაშორისო პარტნიორობას მონაცემთა დაცვის გლობალური სტანდარტების ასამაღლებლად“.

ფოტო: en.wikipedia.org

მემორანდუმის მიხედვით, ხელმომწერი მხარეები არ არიან შეზღუდულნი, ერთობლივად განსაზღვრონ თანამშრომლობისთვის ერთი ან მეტი სფერო, რომელიც შესაძლოა, მოიცავდეს: გამოცდილების გაზიარებასა და მონაცემთა დაცვის პოლიტიკის საუკეთესო პრაქტიკის გაცვლას; განათლებისა და ტრენინგის პროგრამებს; ინფორმაციის გაზიარებას მომწესრიგებელი ქმედებების შესაბამისი პრიორიტეტების შესახებ ერთობლივი კვლევითი პროექტებისა და ერთობლივი პუბლიკაციების განხორციელებას; კოორდინირებულ საქმიანობას ეროვნულ, რეგიონულ თუ საერთაშორისო დონეზე; პერსონალის მივლინებას; ურთიერთდახმარებას, კონსულტაციებს, ოპერატიულ ვიზიტებს და ა. შ.

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულმა სასამართლომ (“ECtHR”) ერთ-ერთ საქმეზე „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-8 მუხლის დარღვევა დაადგინა

14.11.2023

ფოტო: coe.int

საქმე: “Canavci and Others v. Türkiye”[13] შეეხება თურქეთში 2016 წლის 15 ივლისის სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის შემდეგ, ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობის ფარგლებში კონფიდენციალურობის დაცვას. მომჩივან მხარეს წარმოადგენდა თურქეთის სამი მოქალაქე, რომლებიც 2016 წელს წინასწარ პატიმრობაში იმყოფებოდნენ; კერძოდ, ორი პირი — “FETO/PDY“-ის წევრობისა და სახელმწიფო ხელისუფლების დამხობის მცდელობისთვის, ხოლო მესამე პირი — შეიარაღებული ტერორისტული ორგანიზაციის წევრობისთვის. კონვენციის მე-8 („პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება“) და მე-13 („ეფექტიანი დაცვის უფლება“) მუხლებზე დაყრდნობით, მომჩივნები სადავოს ხდიდნენ ციხეში ადვოკატებთან მათი შეხვედრების მონიტორინგსა და აუდიოჩანაწერების განხორციელებას, იმ საკანონმდებლო დადგენილების შესაბამისად, რომელიც მიღებული იყო სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის შემდეგ გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის პირობებში.

✓ ფაქტობრივი გარემოებები:

მომჩივნები სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის გამო და ტერორისტულ ორგანიზაციასთან კავშირის საფუძველზე დააკავეს. გადატრიალების მცდელობის შემდეგ თურქეთმა გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა, რომელიც პერიოდულად გრძელდებოდა. გადაუდებელი საკანონმდებლო დადგენილება No. 667, რომელიც საგანგებო მდგომარეობის დროს ამოქმედდა, ტერორიზმთან ბრძოლასა და სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებულ ღონისძიებებს ითვალისწინებდა. განმცხადებლების საჩივრები, უპირველეს ყოვლისა, ორიენტირებული იყო ადვოკატებთან შეხვედრების მონიტორინგისა და აუდიოჩაწერის ფაქტებზე, რამაც გამოიწვია შეშფოთება პირადი ცხოვრებისა და სამართლიანი სასამართლოს უფლებებთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია, რომ სტამბოლის სასამართლომ ერთ-ერთო მომჩივანის მოთხოვნა მონიტორინგისა და აუდიჩაწერის შეწყვეტასთან დაკავშირებით დააკმაყოფილა, ხოლო დანარჩენთა საჩივრები ქალაქ დუზცეს და კოჯაელის პროვინციის სასამართლოების მიერ არ დაკმაყოფილდა.[14]

[13] საჩივრის ნომერი № 24074/19, <https://hudoc.echr.coe.int/?i=003-7797599-10814407>.

[14] პარაგრაფი - 19,24,33

✓ **საჩივრის არსი:**

მომჩივნები ამტკიცებდნენ, რომ ადვოკატებთან მათი შეხვედრების მონიტორინგი და აუდიოჩაწერა წარმოადგენდა მათი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში უხეშ ჩარევას. ისინი აცხადებდნენ, რომ მათი დაკავების დროს განხორციელებული ღონისძიებები არღვევდა ადვოკატისა და კლიენტის კომუნიკაციის კონფიდენციალურობას და ამტკიცებდნენ, რომ ამგვარი ჩარევა არ შეესაბამებოდა სამართლიანი სასამართლოსა და სამართლებრივი წარმომადგენლობის პრინციპებს.

ერთ-ერთი მომჩივანი, ასევე, აღნიშნავდა, რომ პროკურატურის შესაბამისი გადაწყვეტილების არარსებობის შემთხვევაში ოფიცრის მიერ ციხეში ადვოკატთან შეხვედრების აუდიო და ვიდეომონიტორინგი წარმოადგენდა მისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევა.

✓ **ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს მსჯელობა და მიღებული გადაწყვეტილება:**

ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან ადგილი ჰქონდა მომჩივნის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევას. აღნიშნული ჩარევის ბუნება დაკავშირებულია მათი დაკავების დროს მომჩივნების ადვოკატებთან შეხვედრების მონიტორინგსა და აუდიოჩაწერასთან. სასამართლომ განიხილა, თუ რამდენად კანონიერად მოხდა ჩარევა დაცულ უფლებაში და აღნიშნა, რომ კონვენციით გარანტირებული უფლების ნებისმიერ დარღვევას უნდა ჰქონდეს შიდასაკანონმდებლო საფუძველი.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ჩარევის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა No. 667 გადაუდებელი საკანონმდებლო დადგენილების მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი, რომელიც ამოქმედდა სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის შემდეგ გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის დროს. სასამართლომ შეამოწმა აღნიშნული დადგენილების კანონიერება და გამოავლინა სიცხადის, განჭვრეტადობისა და სათანადო გარანტიების ნაკლოვანებები. სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, ადვოკატისა და კლიენტის შორის ურთიერთობის კონფიდენციალურობის ფუნდამენტური უფლებისა და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისგან დაცვის აუცილებლობა.

სასამართლომ დაადგინა, რომ თურქეთის ხელისუფლების მიერ განხორციელებული ღონისძიებები, მათ შორის, მომჩივნების ადვოკატებთან შეხვედრების მონიტორინგი და აუდიოჩაწერა არ იყო კანონის შესაბამისი, რამაც გამოიწვია კონვენციის მე-8 მუხლით დაცული უფლებების დარღვევა.

(+ 995 32) 242 1000
office@pdps.ge
www.pdps.ge